|                                               | საბუღალტრო სახარები          |             |            | არასაბუღალტრო სახარები |             |     | გადაანგარიშებული ბრუნვა                            |             |     | გადაანგარიშებული ბრუნვა |             |            | გადაანგარიშებული ბრუნვა           |             |            | გადაანგარიშებული ბრუნვა |             |            |
|                                               | მიმდინარე                    | კაპი ტალური | სულ        | მიმდინარე              | კაპი ტალური | სულ | მიმდინარე                                          | კაპი ტალური | სულ | მიმდინარე               | კაპი ტალური | სულ        | მიმდინარე                         | კაპი ტალური | სულ        | მიმდინარე               | კაპი ტალური | სულ        |
| <b>ფულადი ფორმით</b>                          |                              |             |            |                        |             |     |                                                    |             |     |                         |             |            |                                   |             |            |                         |             |            |
| უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული        |                              |             |            |                        |             |     |                                                    |             |     |                         |             |            |                                   |             |            |                         |             |            |
| საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული          | 3,947.75                     |             | 3,947.75   |                        |             |     |                                                    |             |     | 3,655.13                |             | 3,655.13   |                                   |             |            | 3,655.13                |             | 3,655.13   |
| სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული                |                              |             |            |                        |             |     |                                                    |             |     |                         |             |            |                                   |             |            |                         |             |            |
| <b>სულ ფულადი ფორმით გაცემული გრანტები</b>    | 3,947.75                     |             | 3,947.75   |                        |             |     |                                                    |             |     | 3,655.13                |             | 3,655.13   |                                   |             |            | 3,655.13                |             | 3,655.13   |
| <b>სასაქონლო ფორმით</b>                       |                              |             |            |                        |             |     |                                                    |             |     |                         |             |            |                                   |             |            |                         |             |            |
| უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული        |                              |             |            |                        |             |     |                                                    |             |     |                         |             |            |                                   |             |            |                         |             |            |
| საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული          |                              |             |            |                        |             |     |                                                    |             |     |                         |             |            |                                   |             |            |                         |             |            |
| სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული                | 43,479.33                    | 268,608.32  | 312,087.65 |                        |             |     |                                                    |             |     | 3,620.00                | 201,832.18  | 205,452.18 | 3,620.00                          | 201,832.18  | 205,452.18 | 3,620.00                | 201,832.18  | 205,452.18 |
| <b>სულ სასაქონლო ფორმით გაცემული გრანტები</b> | 43,479.33                    | 268,608.32  | 312,087.65 |                        |             |     |                                                    |             |     | 3,620.00                | 201,832.18  | 205,452.18 | 3,620.00                          | 201,832.18  | 205,452.18 | 3,620.00                | 201,832.18  | 205,452.18 |
| <b>სულ ხარჯები გრანტებიდან</b>                | 47,427.08                    | 268,608.32  | 316,035.40 |                        |             |     |                                                    |             |     | 7,275.13                | 201,832.18  | 209,107.31 | 7,275.13                          | 201,832.18  | 209,107.31 | 7,275.13                | 201,832.18  | 209,107.31 |

სააღრიცხვო პოლიტიკები:





**შენიშვნა N26 სუბსიდიის ხარჯი; სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა; შიდა ტრანსფერებით ხარჯები**

ორგანიზაციის დასახელება **რუსთავის მუნიციპალიტეტი**  
 პერიოდულიობა: წლიური, კვარტალური **2025 წლის IV კვარტალი**

კოდი

ზომის ერთეული: ლარი

| დასახელება                                | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |                       |                      | წინა საანგარიშგებო პერიოდის გადანაგარიშებული ბრუნვა | წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |
|-------------------------------------------|-------------------------------|-----------------------|----------------------|-----------------------------------------------------|------------------------------------|
|                                           | საბიუჯეტო სახსრები            | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ                  |                                                     |                                    |
| ფინანსურ კერძო საწარმოებს                 |                               |                       |                      |                                                     |                                    |
| არაფინანსურ კერძო საწარმოებს              | 266,771.45                    | 27,117.60             | 293,889.05           | 299,510.34                                          | 299,510.34                         |
| <b>სულ სუბსიდიები კერძო საწარმოებს</b>    | <b>266,771.45</b>             | <b>27,117.60</b>      | <b>293,889.05</b>    | <b>299,510.34</b>                                   | <b>299,510.34</b>                  |
| სულ სუბსიდიის ხარჯი                       | 12,265,460.85                 | 27,117.60             | 12,292,578.45        | 9,998,689.84                                        | 9,998,689.84                       |
| სუბსიდიები სხვა სექტორებს                 | 1,245,355.92                  |                       | 1,245,355.92         | 1,082,739.72                                        | 1,082,739.72                       |
| არაფინანსურ საჯარო კორპორაციებს           | 10,753,333.48                 |                       | 10,753,333.48        | 8,616,439.78                                        | 8,616,439.78                       |
| <b>სუბსიდიები საჯარო კორპორაციებს</b>     |                               |                       |                      |                                                     |                                    |
| ფინანსურ საჯარო კორპორაციებს              |                               |                       |                      |                                                     |                                    |
| <b>სუბსიდიები კერძო საწარმოებს</b>        |                               |                       |                      |                                                     |                                    |
| <b>სულ სუბსიდიები საჯარო კორპორაციებს</b> | <b>10,753,333.48</b>          |                       | <b>10,753,333.48</b> | <b>8,616,439.78</b>                                 | <b>8,616,439.78</b>                |

| დასახელება                                               | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |                       |                      | წინა საანგარიშგებო პერიოდის გადანაგარიშებული ბრუნვა | წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |
|----------------------------------------------------------|-------------------------------|-----------------------|----------------------|-----------------------------------------------------|------------------------------------|
|                                                          | საბიუჯეტო სახსრები            | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ                  |                                                     |                                    |
| გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები | 3,332,300.00                  |                       | 3,332,300.00         | 13,163,286.00                                       | 13,163,286.00                      |
| ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები           | 27,662,039.35                 | 1,880,857.62          | 29,542,896.97        | 20,798,815.30                                       | 20,798,815.30                      |
| <b>სულ სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა</b>                | <b>30,994,339.35</b>          | <b>1,880,857.62</b>   | <b>32,875,196.97</b> | <b>33,962,101.30</b>                                | <b>33,962,101.30</b>               |
| <b>სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა</b>                    |                               |                       |                      |                                                     |                                    |
| რენტის ხარჯი                                             |                               |                       |                      |                                                     |                                    |
| ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯები, გარდა პროცენტისა        |                               |                       |                      |                                                     |                                    |



| დასახელება                                                                  | საანგარიშებო პერიოდის ბრუნვა |                       |     | წინა საანგარიშებო პერიოდის გადაანგარიშებული ბრუნვა | წინა საანგარიშებო პერიოდის ბრუნვა |
|-----------------------------------------------------------------------------|------------------------------|-----------------------|-----|----------------------------------------------------|-----------------------------------|
|                                                                             | საბიუჯეტო სახსრები           | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ |                                                    |                                   |
| ბაზინიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაწეული ტრანსფერების ხარჯი           |                              |                       |     |                                                    |                                   |
| სულ შიდა ტრანსფერებით ხარჯები                                               |                              |                       |     |                                                    |                                   |
| შიდა ტრანსფერებით ხარჯები                                                   |                              |                       |     |                                                    |                                   |
| შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ბაზინისთვის გაწეული ტრანსფერების ხარჯი |                              |                       |     |                                                    |                                   |

სააღრიცხვო პოლიტიკები:



Handwritten signature in blue ink, appearing to be 'S. 26' followed by a stylized flourish.

**შენიშვნა N27 სოციალური დახმარების ხარჯები**

ორგანიზაციის დასახელება რუსთავის მუნიციპალიტეტი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2025 წლის IV კვარტალი

კოდი

ზომის ერთეული: ლარი

| დასახელება                                             | საანგარიშგებო პერიოდის ზრუნვა |                       |                     | წინა საანგარიშგებო პერიოდის გადანაწილებული ზრუნვა | წინა საანგარიშგებო პერიოდის ზრუნვა |
|--------------------------------------------------------|-------------------------------|-----------------------|---------------------|---------------------------------------------------|------------------------------------|
|                                                        | საბიუჯეტო სახსრები            | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ                 |                                                   |                                    |
| სახელმწიფოს ხარჯი საპენსიო სქემაში შენატანით           |                               |                       |                     |                                                   |                                    |
| დამჭირავებლის მიერ გაწეულ სოციალური დახმარების ხარჯები | 586,281.19                    | 12,428.59             | 598,709.78          | 501,892.63                                        | 501,892.63                         |
| სხვა სოციალურ დახმარებებით ხარჯები                     | 9,299,123.41                  |                       | 9,299,123.41        | 7,971,909.01                                      | 7,971,909.01                       |
| სოციალური დაზღვევის ხარჯები                            |                               |                       |                     |                                                   |                                    |
| <b>სულ სოციალური დახმარების ხარჯები</b>                | <b>9,885,404.60</b>           | <b>12,428.59</b>      | <b>9,897,833.19</b> | <b>8,473,801.64</b>                               | <b>8,473,801.64</b>                |

სააღრიცხვო პოლიტიკები:



Handwritten signature in blue ink.

**შენიშვნა N28 საპროცენტო ხარჯი**

ორგანიზაციის დასახელება **რუსთავის მუნიციპალიტეტი**  
 პერიოდულობა: წლიური, კვარტალური **2025 წლის IV კვარტალი**

კოდი

ზომის ერთეული: **ლარი**

| დასახელება                                                           | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |                       |                     | წინა საანგარიშგებო პერიოდის გადანაწილებული ბრუნვა | წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |
|----------------------------------------------------------------------|-------------------------------|-----------------------|---------------------|---------------------------------------------------|------------------------------------|
|                                                                      | საბიუჯეტო სახსრები            | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ                 |                                                   |                                    |
| საპროცენტო გადასახდელები არარეზიდენტებზე                             |                               |                       |                     |                                                   |                                    |
| საპროცენტო გადასახდელები რეზიდენტებზე, გარდა სახელმწიფო, ერთეულებისა | 1,266,823.00                  |                       | 1,266,823.00        | 1,835,834.00                                      | 1,835,834.00                       |
| საპროცენტო გადასახდელები სახელმწიფო ერთეულებზე                       |                               |                       |                     |                                                   |                                    |
| <b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>                                          | <b>1,266,823.00</b>           |                       | <b>1,266,823.00</b> | <b>1,835,834.00</b>                               | <b>1,835,834.00</b>                |

სააღრიცხვო პოლიტიკები:

6.28






შენიშვნა 29 ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯამება (შედარება)

პერიოდულობა: წლიური, 2025 წლის IV კვარტალი

| სტრუქტურის კოდი        |                                                                     | ბიუჯეტის შესრულების ანგარიში |                    | ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება   |                                            |                                         |               | ბიუჯეტის ნაშთისა და წმინდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდის (შემცირების) შეჯამება(შედარება) |
|------------------------|---------------------------------------------------------------------|------------------------------|--------------------|------------------------------------------|--------------------------------------------|-----------------------------------------|---------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                        |                                                                     | დასახელება                   | ბიუჯეტის შესრულება | ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან |               |                                                                                                           |
| ბიუჯეტის შემოსულობები  |                                                                     |                              |                    |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 010                    | ბიუჯეტის შემოსავლები                                                |                              |                    | 157 245 166,56                           |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 020                    | გადასახადები                                                        |                              | 81 421 112,62      |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 030                    | გრანტები                                                            |                              | 62 732 395,42      |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 040                    | სხვა შემოსავლები                                                    |                              | 13 091 658,52      |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 050                    | არაფინანსური აქტივების შემცირება                                    |                              | 12 646 418,45      |                                          |                                            | 12 646 418,45                           |               |                                                                                                           |
| 060                    | ფინანსური აქტივების შემცირება                                       |                              | -                  |                                          |                                            | -                                       |               |                                                                                                           |
| 070                    | ვალდებულებების ზრდა                                                 |                              | 13 895 616,00      |                                          |                                            |                                         | 13 895 616,00 |                                                                                                           |
| 080                    | სულ ბიუჯეტის შემოსულობები                                           |                              | 183 787 201,01     |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| ბიუჯეტის გადასახდელები |                                                                     |                              |                    |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 090                    | შრომის ანაზღაურება                                                  |                              |                    | 35 412 326,84                            |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 100                    | საქონელი და მომსახურება                                             |                              |                    | 33 537 739,92                            |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 110                    | კრედიტები                                                           |                              |                    | 1 266 823,00                             |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 120                    | სუბსიდიები                                                          |                              |                    | 12 174 402,40                            |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 130                    | გრანტები                                                            |                              |                    | 3 947,75                                 |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 140                    | სოციალური დახმარება                                                 |                              |                    | 9 900 244,47                             |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 150                    | სხვა ხარჯები                                                        |                              |                    | 27 821 289,65                            |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 160                    | არაფინანსური აქტივების ზრდა                                         |                              |                    |                                          | 49 460 524,75                              |                                         |               |                                                                                                           |
| 170                    | ფინანსური აქტივების ზრდა                                            |                              |                    |                                          | -                                          |                                         |               |                                                                                                           |
| 180                    | ვალდებულებების (ვალის) შემცირება                                    |                              |                    |                                          |                                            |                                         | 3 174 462,00  |                                                                                                           |
| 190                    | სულ ბიუჯეტის გადასახდელები                                          |                              | 172 751 760,78     |                                          |                                            |                                         |               |                                                                                                           |
| 200                    | ბიუჯეტის ნაშთი**                                                    |                              | 11 035 440,23      |                                          |                                            |                                         |               | 11 035 440,23                                                                                             |
| 210                    | ფულადი სახსრების ეკვივალენტები                                      |                              |                    |                                          |                                            |                                         |               | -                                                                                                         |
| 220                    | ბიუჯეტისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მთლიანი ნაშთი          |                              |                    |                                          |                                            |                                         |               | 11 035 440,23                                                                                             |
| 230                    | წმინდა ფულადი სახსრები საქმიანობის მიხედვით                         |                              |                    | 37 128 392,53                            | -36 814 106,30                             | 10 721 154,00                           |               |                                                                                                           |
| 240                    | ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება) ** |                              |                    |                                          |                                            |                                         | 11 035 440,23 | -                                                                                                         |

\* იცხება მხოლოდ იმ ერთეულების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ ფულად სახსრებს

\*\* ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ბიუჯეტის ნაშთისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ჯამი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდის (შემცირების) ძირითადი

\* აღნიშნული ტოლია ფინანსური აქტივების ზრდას გამოვლენული ფულადი სახსრების უკვივალენტები

ბიუჯეტის ფაქტობრივი საოპერაციო ნაშთისა და საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შეგუება (შედარება)

ბიუჯეტის საერთო (ბილიანი) ნაშთი

არაფინანსური აქტივების ზრდა/(შემცირება)

ბიუჯეტის საოპერაციო ნაშთი

განსვავებები საფუძვლების (ბილიანების) მიხედვით

განსვავებები დროითი პერიოდის მიხედვით

განსვავებები ერთეულების მიხედვით

განსვავებები კლასიფიკაციის მიხედვით

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

xxx

xxx

xxx

xxx


xxx

xxx

xxx

| სტრუქტურის კოდი | ფაქტობრივი თანხა შესადარის საფუძვლზე ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიხედვით | საოპერაციო საქმიანობა | საინვესტიციო საქმიანობა | ფინანსური საქმიანობა |
|-----------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|----------------------|
| 010             | განსვავებები საფუძვლების (ბილიანების) მიხედვით                                                        |                       |                         |                      |
| 020             | განსვავებები დროითი პერიოდის მიხედვით                                                                 |                       |                         |                      |
| 030             | განსვავებები ერთეულების მიხედვით                                                                      |                       |                         |                      |
| 040             | განსვავებები კლასიფიკაციის მიხედვით                                                                   |                       |                         |                      |
| 050             | ფაქტობრივი თანხა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში                                             |                       |                         |                      |

პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი  
ორგანიზაციების

2025 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების  
სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები



## ძირითადი საქმიანობის აღწერა

საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ მუნიციპალიტეტის ორგანოები, ეს ორგანოებია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია: საკუთარი უფლებამოსილება და დელეგირებული უფლებამოსილება.

მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირები.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

## მარეგულირებელი ნორმატიული აქტები

მუნიციპალიტეტის საქმიანობას მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები -სსბასს (IPSAS);
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ;
- ფინანსთა მინისტრის 15/01/2020წ. N 17,“ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 05/05/2020 წ. N 108 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშების წარმოების შესახებ“ და 04/02/21წ. N24 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ბრძანებები;
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება.

## კონსოლიდირებული ერთეულების ჩამონათვალი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია/საკრებულო;
2. ა(ა)იპ ქ. რუსთავის მუნიციპალური არქივი;
3. ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“;
4. ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“;
5. ა(ა)იპ - „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“;
6. ა(ა)იპ - „სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი „კესანე“;
7. ა(ა)იპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახ. მთავარი ბიბლიოთეკა;
8. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი;
9. ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი";
10. ა(ა)იპ "რუსთავსერვის ცენტრი";
11. ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“;
12. ა(ა)იპ „რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი“;
13. ა(ა)იპ "ქ. რუსთავის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი"
14. ა(ა)იპ „რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი“
15. ა(ა)იპ „კულტურული პროექტების მართვის ცენტრი“
16. ა(ა)იპ „ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრი"
17. ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სპორტის განვითარების ცენტრი“

## ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული შიდა აღრიცხვის წესები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2025 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია ფინანსთა მინისტრის 15/01/2020წ. N 17, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 05/05/2020 წ. N 108 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშგების წარმოების შესახებ“ და 04/02/21წ. N24 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ბრძანებების შესაბამისად.

რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით.

ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით. ასევე, განსაზღვრულ შემთხვევებში გამოყენებულია საკასო მეთოდი.

ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, კაპიტალის ცვლილებაზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე საანგარიშო პერიოდში.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება- ფორმა #1;
  - 2) ფინანსური შედეგების ანგარიშგება- ფორმა#2;
  - 3) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-ფორმა#3;
  - 3) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება- ფორმა#4;
  - 4) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება ფორმა #5
- შენიშვნა N1 ფულადი სახსრები და ეკვივალენტები
- შენიშვნა N2 მიმდინარე ინვესტიციები
- შენიშვნა N3 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები
- შენიშვნა N4 მატერიალური მარაგები
- შენიშვნა N5 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები
- შენიშვნა N6 ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში
- შენიშვნა N6-1 სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები
- შენიშვნა N7 ძირითადი აქტივები
- შენიშვნა N8 საინვესტიციო ქონება
- შენიშვნა N9 არამატერიალური აქტივები
- შენიშვნა N11 ფინანსური იჯარით აღებული აქტივები და ვალდებულებები
- შენიშვნა N12 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები
- შენიშვნა N13 ფინანსური ვალდებულებები
- შენიშვნა N14
- შენიშვნა N16 გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები
- შენიშვნა N17 საგადასახადო შემოსავლები\*
- შენიშვნა N18 შემოსავლები გრანტებიდან
- შენიშვნა N19 ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები
- შენიშვნა N20 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან
- შენიშვნა N21 გაუფასურების ხარჯები და გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები
- შენიშვნა N22 სხვადასხვა შემოსავლები და ხარჯები
- შენიშვნა N23 შრომის ანაზღაურების ხარჯები
- შენიშვნა N24 საქონელი და მომსახურების ხარჯი



შენიშვნა N25 გრანტის ხარჯი

შენიშვნა N26 სუბსიდიის ხარჯი; სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა; შიდა ტრანსფერებით ხარჯები

შენიშვნა N27 სოციალური დახმარების ხარჯები

შენიშვნა N28 საპროცენტო ხარჯი

შენიშვნა N29 ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯერება (შედარება)

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ეკონომიკური მოვლენა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (IPSAS) მოთხოვნილი შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ნაერთ ანგარიშგებაში საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვა არის მოცემული და ასევე ნაჩვენებია მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის მქონე ა(ა)იპ-ების შემოსავლების აღრიცხვა განხორციელებულია დარიცხვის მეთოდით. რაც შეეხება ხარჯებს მათი აღრიცხვა ორივე კუთხით წარმოებულია დარიცხვის მეთოდით.

### **ანგარიშგების თარიღი**

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების თარიღია 2025 წლის 31 დეკემბერი.

### **საანგარიშგებო პერიოდი**

კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### **საანგარიშგებო ვალუტა**

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

### **რესურსების განაწილება და გამოყენება**

ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (მათ შორის: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები) და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები. საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ხარჯები გაწეულ იქნა სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით - როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და გეგმის, ასევე, ვალდებულებების მოცულობის ფარგლებში.

## **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა

აქტივების/კაპიტალის შესახებ ინფორმაციას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულია როგორც საანგარიშგებო წლის ფინანსური მონაცემები ასევე, საანგარიშგებო წლის წინა წლის ფინანსური მონაცემები.

### **აქტივები**

აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების სახით.

### **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ფულადი სახსრები მოიცავს როგორც ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ ფულს (ხაზინის მონაცემების შესაბამისად), ასევე, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე (ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად).

ანგარიში სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2131) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ნაშთს ხაზინაში, ხოლო სხვა ანგარიშები კომერციულ ბანკში (1-11-2430) ნაშთი ანგარიშზე აღრიცხულია მუნიციპალიტეტის კუთვნილ ნაშთი რომელიც განთავსებულია კომერციული ბანკის ანგარიშზე.

### **ფინანსური აქტივები და მოთხოვნები**

მოკლევადიანი ფინანსური აქტივი წარმოდგენილია მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებებით არსებული ნაშთით, რომელიც მოიცავს: საგადასახადო დებიტორულ დავალიანებებს, დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით, საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან დებიტორული დავალიანებებს, და სხვა მოთხოვნებს.

### **მატერიალური მარაგები**

მატერიალური მარაგები ანგარიშგებაში წარმოდგენილია ანგარიშებზე (1-14-1410/1-14-1420/1-14-4000) სხვა დანარჩენი მასალები და მარაგების და მცირეფასიანი აქტივების, გაყიდვის მიზნით ფლობილი საქონელის სახით - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკას, ინვენტარსა და მოწყობილობას - რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს, კერძოდ, არ წარმოადგენენ 500 ლარზე მეტი ღირებულების აქტივებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ხდება მათი გამოყენება. გაყიდვის მიზნით ფლობილი საქონელი წარმოდგენილია წინა და საბოლოო პერიოდის ნაშთის სახით მხოლოდ.

ორგანიზაციის მიერ ასევე მატერიალური მარაგები მიღებულია შესყიდვით და არაგაცვლითი ოპერაციის გზით, საჯარო სექტორის ერთეულიდან . მიღებისას მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრა მიღების დოკუმენტით განსაზღვრული ღირებულებით .

ორგანიზაციის მიერ მატერიალური მარაგების გასვლა მოხდა ასევე არაგაცვლითი ოპერაციის გზით და საკუთარი მიზნებითვის გამოყენებული მარაგები, რომელიც აღიარებულია ხარჯად და ექსპლუატაციაშია, შექმნილია საცნობარო ანგარიში „04 ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ და „10 ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“-აისახება, მიუხედავად ღირებულებისა. მარაგების საცნობარო ანგარიშზე ჩანაწერის ანულირება ხდება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ორგანიზაციის მიერ იმ მატერიალური მარაგების, რომელთა შესყიდვა საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში ხდება ექსპლუატაციაში გადაცემის მიზნით გაცემის შემთხვევაში ორგანიზაციის მიერ შესაბამისი პერიოდის ხარჯად აღიარდება თვითღირებულებით.

### **სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები**

მოკლევადიანი ფინანსური აქტივი წარმოდგენილია სხვა მოკლევადიან აქტივებით არსებული ნაშთით, რომელიც მოიცავს მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს კერძოდ: გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს- (1-15-1200), საქონლისა და მომსახურების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიან(მიმდინარე) მოთხოვნებს (1-15-1100), რაც წარმოადგენს წინასწარი გადახდებით კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლიდან გადახდილ თანხებს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგ შემთხვევაში საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტერიაში შემოსულია ავანსის დამოწმების პირველადი დოკუმენტი, რის საფუძველზეც ბუღალტრულად განხორციელდა ავანსის შემცირება, ხოლო ხაზინის სისტემაში რადგან ავანსის დამოწმების ვადა არ იყო გასული ავანსის დახურვა არ განხორციელებულა და ასევე ადგილი ჰქონდა ავანსად გაცემული თანხების მობრუნებას. ამდენად არსებული ნაშთები არ შეესაბამება ხაზინის ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ წინასწარი (საავანსო) გადახდების მონაცემებს .

### **გრძელვადიანი ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ანგარიში (1-21-2000) (ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში) წარმოდგენილია აქციები და სხვა კაპიტალით ფინანსური აქტივების შეძენისა და გასვლის, ვალდებულებების აღებისა და დაფარვის ოპერაციებით ანგარიშის (2-15-4000) წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო და საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთის სახით.

ფინანსური აქტივი წარმოდგენილია ასევე სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივებით არსებული ნაშთით. საშემოსავლო გადასახადი ანგარიშზე (1-21-3000) ასახულია მუნიციპალიტეტის მოთხოვნები სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, წინასწარ გადახდილი გადასახადებით.

**გრძელვადიანი აქტივები** ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითადი აქტივების, არამატერიალური აქტივების, სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებით.



## **ძირითადი აქტივები**

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულებით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები.

ძირითადი აქტივებად ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგი სახის აქტივები: საცხოვრებელი დანიშნულების შენობები, საკუთარი მიწებისთვის; არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, საკუთარი მიწებისთვის; სხვა ნაგებობები, საკუთარი მიწებისთვის; მიწა და მიწის გაუმჯობესება საკუთარი მიწებისთვის; სატრანსპორტო საშუალებები; საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა; სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და ინვენტარი; კულტივირებული მცენარეები და ცხოველები;

## **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივებიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს აქვს კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები, ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები. ეს აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო წელს საბალანსო ღირებულებით. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ ყოველწლიურად მცირდება ამორტიზაციის თანხით.

## **სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები**

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს დაუმთავრებელი მშენებლობას, აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული, საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები. დაუმთავრებელი მშენებლობას, აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები-მოცემულ აქტივებს არ დაერიცხა ცვეთა. საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესებულ აქტივებს დაერიცხა ცვეთა.

## ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი ძირითადად შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად.

მოკლევადიანი/გრძელვადიანი ნასესხები თანხებიდან გვაქვს საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე)/გრძელვადიანი ნასესხები თანხები სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან. ვალდებულებების დაფარვა ხდება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციის მუხლით სესხების კატეგორიიდან, ხოლო პროცენტის გადახდა ხარჯების კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით.

მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტის კატეგორიისა მოიცავს: სხვა გადასახადებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებებს, შტატით მომუშავეთა ხელფასებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებებს, საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებებს, არაფინანსური აქტივების მოწოდებასთან დაკავშირებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს და სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებებს.

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია (წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო და საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთის სახით) აქციები და სხვა კაპიტალით ფინანსური აქტივების შეძენისა და გასვლის, ვალდებულებების აღებისა და დაფარვის ოპერაციებით ანგარიში(2-15-4000).

მოკლევადიანი ვალდებულებები ასევე წარმოდგენილია ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთის სახით.

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია: გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებებით (სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან) და გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებებით.

## წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი მოიცავს: გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის, საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის.

## **ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება**

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები და გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი და დეფიციტი.

### **შემოსავლები**

შემოსავლები აერთიანებს საბიუჯეტო და არა საბიუჯეტო სახსრებით: საგადასახადო შემოსავლებს (ქონების გადასახადი, დღგ); შემოსავლებს სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით; შემოსავლებს გრანტებით (იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით/სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე /კაპიტალური გრანტები,საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული); ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებით (მიმდინარე/კაპიტალური); შემოსავლებს გაცვლითი ოპერაციებიდან, რაც მოიცავს: სხვა შემოსავლებს გაცვლითი ოპერაციებიდან (რენტიდან შემოსავლებს, შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან), გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა, საპროცენტო შემოსავლებს .

### **ხარჯები**

ხარჯები აერთიანებს საბიუჯეტო და არა საბიუჯეტო სახსრებით: შრომის ანაზღაურების ხარჯებს; საქონელი და მომსახურების ხარჯებს (შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, მივლინების ხარჯები); გრანტები; სხვა ხარჯები გარდა პროცენტისა (ტრანსფერები და არაკლასიფიცირებული ხარჯები); სუბსიდიების ხარჯები; ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები; სოციალური დახმარება/უზრუნველყოფის ხარჯებს; გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯს; საპროცენტო ხარჯებს (საპროცენტო გადასახდელები რეზიდენტებზე,გარდა სახელმწიფო ერთეულებისა); გაუფასურების ხარჯები.

## **წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება ასახავს წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებებს საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულ ანგარიშგებაში იძლევა ინფორმაციას, როგორიცაა:

- წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის შესახებ;
- გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი;



სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება და კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად;

-წმინდა აქტივების/კაპიტალის პერიოდის ნამეტს(დეფიციტს);

-წმინდა აქტივების/კაპიტალის საბოლოო ნაშთს.

## ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება, რომელშიც „დამტკიცებული“ და „დაზუსტებული“ და „შესრულებული“ ბიუჯეტის მონაცემები წარმოდგენილია საკასო მეთოდის შესაბამისად. სადაც შემოსულობების და გადასახდელების თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკე მიეთითება დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება და ფაქტობრივი შესრულების პროცენტული მაჩვენებელი. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადდა მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებით.

## დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, გაკეთდა ანალიზი თითოეული ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე. ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია რუსთავის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული ზემოთ აღნიშნული ა(ა)იპ - ების სრული კონსოლიდაციით.

პასუხისმგებელი პირები: \_\_\_\_\_

